ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №90

(ზღვრების შესაბამისად)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **24 დეკემბერი 2020 წელი.**

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

2.1. ერთის მხრივ, **„შპს „მარნეულის სოფწყალი“** (შემდგომში „შემსყიდველი“)“) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნაბი აბდულაევის** სახით და მეორეს მხრივ, **ი.მ „შაბანოვი რენატ“** (შემდგომში „მიმწოდებელი) სახით .

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 22.12.2020 წლის N116 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დათბილული ქურთუკები და შარვლების **(CPV-18110000-სამუშაო ტანსაცმელი)** ***<u>შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.</u>***.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს ***<u>1820(ათასრვაასოცი) ლარი.</u>*** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ***<u>დაფინანსების წყარო - 2020 წლის საკუთარი სახსრები.</u>***

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. **მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება** ***<u>2020 წლის 29 დეკემბერის ჩათვლით.</u>*** იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. **მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ,,მიღება–ჩაბარების“ აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი **„შპს.მარნეულის სოფწყალ“–ის დირექტორი ნაბი აბდლაევი.**

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს ***<u>„შპს. მარნეულის სოფწყალ“–ის ტექნიკური მენეჯერი აკაკი ხაშილაძე.</u>***

8. **გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია**

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში:

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო**.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02% ოდენობით**.

13.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა შეადგენს შეუსრულებელი ვალდებულების 2%–ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.6. ამ მუხლის **მე-5 პუნქტში** მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს რომ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად,“ **მარნეულის სოფწყალი“–ს** მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან ***ი.მ„რენატ შაბანოვი“*** – თან სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

17. სხვა პირობები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **31.12.2020წ–მდე** ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18. რეკვიზიტები:

შემსყიდველი ორგანიზაცია:

შპს ,,მარნეულის სოფწყალი“

მისამართი: ქ. მარნეული, ერეკლე მეორეს ქ.3, ბ49

ს.კ. 434158163;

მომსახურე ბანკი: ს/ს ,,ტერაბანკი"-ს მარნეულის ფილიალი;

ბანკის კოდი: TEBAGE22.

ა.ა GE35KS0000000345200004;

მიმწოდებელი:

ი.მ„რენატ შაბანოვი“

მისამართი: ქ.მარნეული წერეთლის ქN3

პირადი N:28001090624;

მომსახურებანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა.ა. GE48BG0000000162649740;

შპს“მარნეულის სოფწყალ”–ის დირექტორი:

Nabi Abdulaevi Digitally signed by Nabi Abdulaevi Date: 2020.12.24 09:24:06 +03'00'

_____ /ნ.აბდულაევი /

ინდივიდუალური მეწარმე:

Renat Shabanov Digitally signed by Renat Shabanov Date: 2020.12.24 09:25:14 +03'00'

_____ /რ.შაბანოვი/